ინტერაქციური ლექციის მრავალფეროვნება. ტექნოლოგოგიური რუკები ისტორიის გაკვეთილზე

მაია ფირჩხაძე

სტანდარტით გათვალისწინებული გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებლის წინაშე ყოველთვის დგას შეკითხვა: „როგორ ვასწავლოთ?“ განსაკუთრებული ყურადღებით ხდება პედაგოგიური ხერხების შერჩევა, მეთოდებისა და სტრატეგიების მოძიება ახალი თემის გადაცემისას შესავალი ლექციისთვის. პრაქტიკული მოსაზრებით მრავალრიცხოვანი საშუალებებიდან მოსახერხებელია ინტერაქციული ლექცია.

ინტერაქციულ ლექციაზე მოსწავლის ქმედება სხვადასხვა კოგნიტურ უნარებზეა გათვლილი, მოსწავლეები პასუხობენ შეკითხვებზე, მოაქვთ მაგალითები, არჩევენ რომელიმე თეზისის დამადასტურებელ არგუმენტებს. ლექციის დროს შესაძლებელია გაიმართოს დისკუსიაც, საქმიანი თამაში ან ტექსტზე დამოუკიდებელი მუშაობა და ა.შ. მთავარია, რომ ინტერაქციულ ლექციაზე მოსწავლე ან თავადაც ქმნის, ან მისი აზროვნების გააქტიურებისთვის მასწავლებელი ფართოდ იყენებს თემის ტექნოლოგიურ რუკებს, რომელიც კომპლექსური ხედვის საშუალებას აძლევს მოსწავლეს.

ინტერაქციულ ლექციაზე მასწავლებელს ტექოლოგიური რუკის გამოყენებით შესასწავლი თემის პროექტირების საშუალება ეძლევა. ის უზრუნველყოფს თემის მთლიანობაში აღქმას, მისი ცალკეული ნაწილების დანახვას და მათივე მეშვეობით ზოგადი სურათის აღდგენას. ამავე დროს ის თემის დიაგნოსტიკის და კონტროლის საშუალებასაც იძლევა, ამარტივებს მიზნებისა და შედეგების მიღწევას.

ასეთი ფორმატის ინტერაქციული ლექცია შემდეგ ეტაპებს მოიცავს: **ა)** მასწავლებლის საქმიანობა - შეკითხვა; საუბარი თემის ტექნოლოგიური რუკის გამოყენებით; ახალი თემის გადაცემა; **ბ)** მოსწავლის საქმიანობა - პასუხი, კოგნიტური რუკის აღქმა და გააზრება, **გ)** რეფლექსია - სტანდარტით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების შემოწმება.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი ისტორიის სწავლების მაგალითზე:

ისტ. XI. 3, 4, 6; თემა - „პირველყოფილი საზოგადოებიდან ცივილიზაციამდე“

მუშაობის ტიპი - ინტერაქციული ლექცია თემის ტექნოლოგიური რუკების გამოყენებით (რომელშიც ისტორიული ეპოქები და პერიოდებია თავმოყრილი).

ლექციის გეგმა: ახალი მასალის გადაცემა, კომპლექსური წარმოდგენის შექმნა ადამიანის წარმოშობაზე და პირველყოფილი საზოგადოების შინაარსზე.

შემავალი საკითხები: ა) დავახასიათოთ და გავაანალიზოთ ადამიანის წარმოშობის შესახებ არსებული ძირითადი ვერსიები; **ბ)** შევისწავლოთ ცნებები - კრეაციონიზმი. ევოლუციური თეორია. თეოლოგია. ანტროპოგენეზი. სოციალურ-ეკონომიკური სისტემა; **გ)** განვსაზღვროთ, რას ნიშნავს უძველესი ადამიანი; პირველყოფილი საზოგადოება. ისტორიული პერიოდიზაცია; სამხედრო დემოკრატია; სახელმწიფო; **დ)** გამოვიკვლიოთ სოციალური სისტემების ურთიერთმიმართება; **ე)** ჩამოვაყალიბოთ /გამოვხატოთ საკუთარი პოზიცია შესასწავლი საკითხის მიმართ.

ინტექციული ლექციის ეტაპები:

- მეცადინეობის დაწყება: მასწავლებელი გამოაცხადებს თემას და ძირითად პრობლემებს, რომელზე ყურადღებაც ლექციის მსვლელობისას უნდა გაამახვილოს (5 წთ.);
- ახალი მასალის ახსნა ინტერაქციული ლექციის ფორმატში საუბრის და ტექნოლოგიური რუკის გამოყენებით (30 წთ.);
- გამტკიცება -7 წთ;
- რეფლექსია /შედეგების შეფასება (3 წთ).

საყრდენი ტექსტი: იყო დრო როდესაც ადამიანები დედამიწაზე არ არსებობდნენ. მასთან ერთად გაჩნდა საზოგადოებაც. ანთროპოგენეზი - ადამიანის ფორმირების პერიოდი. ანთროპოსოციოგენეზი - ადამიანისა და საზოგადოების ჩამოყალიბება. პირველყოფილი საზოგადოების განვითარების ეტაპები და სოციალური სტრუქტურები. სამხედრო დემოკრატია. სახელმწიფოს წარმოშობა და ძირითადი მახასიათებლები.

მეცადინეობის დაწყება:

I ეტაპი - სამოტივაციო შეკითხვა: რატომაა აუცილებელი ვიცოდეთ პირველყოფილი საზოგადოების ისტორია?

დასკვნითი პასუხი:

ა) თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაში ბევრ რამეს შევხვდებით, რომელსაც საფუძველი პირველყოფილ საზოგადოებაში დაედო: სახლი, ტანსაცმელი, ქორწინება, ოჯახი, ზნეობა, ეტიკეტი, ხელოვნება და რელიგია, მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ხელოსნობა და ა.შ. თუ გვინდა გავიგოთ, როგორ გაჩნდნენ ისინი, მათ წარმოშობას უნდა გავეცნოთ. აქედან გამომდინარე **პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის შესწავლას შემეცნებითი ხასიათიც აქვს.**

ბ) პირველყოფილი საზოგადოების შესწავლა დაკავშირებულია მსოფლმხედველობასთანაც - როგორ გაჩნდა ადამიანი? რასა? სახელმწიფო? და ა.შ.

გ) პირველყოფილი საზოგადოების შესწავლას აქვს პრაქტიკული მნიშვნელობაც: აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის, ოკეანიის მოსახლეობა არცთუ დიდი ხნის წინ ჯერ კიდევ ამავე პირობებში ცხოვრობდნენ. ამ წყობილების ბევრი გადმონაშთი კვლავ შემორჩენილია მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც ითხოვს ანალიზს, შეფასებას.

ისტორიული მეცნიერება ამ მოთხოვნებს გვერდს ვერ აუვლის.

შეკითხვა/გონებრივი იერიში:

- რა იცით ადამიანის წარმოშობის შესახებ? რა ვერსიებს დაასახელებდით? თქვენი აზრით, რომელი უფრო შეესაბამება სიმართლეს? რა თვისებები ახასიათებს ადამიანს როგორც ბისოციალურ არსებას? და ა.შ.

დასკვნითი პასუხი (ნახ.1): ადამიანის ფორმირების პროცესს ანთროპოიდული წინაპრებიდან თანამედროვე ადამიანამდე ანთროპოგენეზი ეწოდება; ანთორპოგენეზის ბოლო ეტაპზე მიმდინარეობს რასოგენეზის პროცესი, რომელიც დედამიწის სხვადასხვა რეგიონში ადამიანის განსახლებას უკავშირდება. წარმოიშვა შერეული რასებიც, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდნენ გარდამავალი შერეული ტიპები. ადამიანებს აღმოაჩნდათ და განუვითარდათ გამართული სიარულის, აბსტრაქტული აზროვნების, მეტყველების, შემეცნების, შემოქმედების უნარი.



ნახ.1.

II ეტაპი - პირველყოფილი საზოგადოების პერიოდიზაცია (აღსანიშნავია, რომ თარიღები მიახლოებითია, სხვადასხვა რეგიონი ამ მხრივ განსახვავდებოდა

ერთმანეთისგან) **და მოსწავლეების მუშაობა პირველყოფილი საზოგადოების პერიოდიზაციის რუკაზე** (სქემა 2):

ქვის ხანა	პალეოლითი			მეზოლითი	ნეოლოთი
ქრონოლოგიური ჩარჩოები	ადრეული პალეოლითი: 2,5 მლნ. – 300 ათასი წელი ძვ.წ.	შუა პალეოლითი -300 – 40 ათასი წელი ძვ.წ.	გვიანი (ზედა) პალეოლითი: 40 – 10 ათასი წელი ძვ.წ.	10 ათასი წელი ძვ.წ.	10 – 6/4 ათასი წელი ძვ.წ.
წარმომადგენლები	Homo habilis (მარჯვე ადამიანი):პითეკანტროფი, სინანთროპ-არხანთროპი – (უძველესი ადამიანი)	Homo erectus (გამართული ადამიანი) – ნეანდერტალელი (პალეანთროპი – ძველი ადამიანი)	Homo sapiens (გონიერი ადამიანი) – კრომანიონელი, თანამედროვე ტიპის ადამიანი		

სქემა 2

ძირითადი ცნებები: პირველყოფილი ჯოგი. გვარი. თემი. შემგროვებლობა. ნადირობა. მატრიარქატი. პატრიარქატი. პირველყოფილი რელიგიის სახეები. შრომის იარაღების და საქმიანობის დახასიათება. მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა. ნეოლითური რევოლუცია. შრომის I დანაწილება (მიწათმოქმედება და მესაქონლეობა). შრომის II დანაწილება (ხელოსნობა), შრომის III დანაწილება (ვაჭრობა).

მასწავლებლის თხრობის საფუძველზე მოსწავლეები მუშაობენ თემის ძირითადი ცნებების ტექნოლოგიურ რუკაზე (სქემა 3 და 4):

ქვის ხანა	პალეოლითი		მეზოლითი	ნეოლოთი
საქმიანობა	საქმიანობის ტიპი: შემგროვებლობა, ნადირობა, ცეცხლის დაუფლების დასაწყისი და ტანსაცმლის დამზადება	ძირითადი საქმიანობა: შემგროვებლობა, ინდივიდუალური ნადირობა, ცხოველების მოშინაურება		მწარმოებლური ტიპის მეურნეობა (ნეოლითური რევოლუცია): მიწათმოქმედების დასაწყისი, მეცხოველეობა
შრომის იარაღი	პრიმიტიული: წვეტანები, საფხეკები, სახვრეტები,ხელშუბი	მშვილდ-ისარი, სეგმენტური იარაღი: ცული, ჰარპუნები, ხელშუბი		სრულყოფილი სანადირო იარაღი, თოხი, ბარი, ნამგალი, სამეთუნეო მორგვი

სქემა 3.

1 საკვანძო საკითხი - „პრესტიჟული ეკონომიკა“ - საჩუქრების ნებაყოფილობით მირთმევა ერთმანეთისთვის და განსაკუთრებით საპატივცემულო პირებისთვის -

ბელადებისა და ქურუმებისთვის, რაც ხელს უწყობდა სიმდიდრის კონცენტრაციას გარკვეული ჯგუფის ხელში. ჯგუფის წევრების ავტორიტეტის ზრდა, მათი რელიგიური თუ სხვა ფუნქციების მემკვიდრეობით გადაცემის ტრადიციის ჩამოყალიბება; სოციალური დიფერენციაცია. სოციალური სტრუქტურები. პროფესიონალი მეომრები. „სამხედრო დემოკრატია“ (გასამხედროებული საზოგადოება, წინამძღოლის არჩევა და მის ხელში სამხედრო, სამოქალაქო და რელიგიური ლიდერის ფუნქციის თავმოყრა), ზეპირი კანონები, სახალხო კრება. პროტოსახელმწიფო.

მასწავლებლის თხრობის საფუძველზე მოსწავლეები მუშაობენ თემის საკვანძო საკითხების ტექნოლოგიურ რუკაზე (სქემა 3):

ქვის ხანა	პალეოლითი			მეზოლითი	ნეოლოთი
საზოგადოებრივი ორგანიზება	ჯოგი: კოლექტივიზმი, თანაბარუფლებიანობა		გვარი (ერთობა, თემი)		სამეზობლო თემი: ქონებრივი უთანასწორობა, ტომის ბელადები, ხელისუფლების საკრალურობა
სულიერი კულტურა	აზროვნება	მაგიური რიტუალები, დასაფლავების წესი	ინტელექტი, მეტყველების განვითარება, ანიმიზმი, ტოტემიზმი, ფეტიშიზმი ცხოველების მაგიური გამოხატულება		წინაპრის, ბელადის და ადგილის დედის - დიდი წინაპრის კულტი

სქემა 4.

2 საკვანძო საკითხი - სახელმწიფოს წარმოშობა. სახელმწიფოს დამახასიათებელი ნიშნები. სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად წარმოიშობა პირველი ცივილიზაციებიც. ცივილიზაციის მახასიათებლები. მასწავლებლის თხრობის საფუძველზე მოსწავლეები **ცივილიზაციის დამახასიათებელი ნიშნების სქემაზე** მუშაობენ (სქემა 5):

1	მწარმოებლური, რაციონალური მეურნეობის შექმნა	მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქტის წარმოება
2	კერძო ინსტიტუტის გაჩენა და ქონების ფლობა, მათ შორის - მიწის	სიმდიდრის კონცენტრირება ერთეული ადამიანების ხელში, სოციალური დიფერენციაცია
3	სოციალური კონფლიქტების დასარეგულირებლად განსაკუთრებული ორგანოს - სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ჩამოყალიბება	საზოგადოების წეს-ჩვეულებებითა და ტრადიციებით რეგულირებისგან განსხვავებით
4	ქალაქის როგორც სამეურნეო, ადმინისტრაციული, სამხედრო კულტურულ-რელიგიური ცენტრის წარმოქმნა	ქალაქი ხდება პროგრესის ორგანიზატორი, საზოგადოების მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების ცენტრი
5	მეგალითური და ნაგებობების მშენებლობა: ეგვიტის პირამიდები და ტაძრები, მესოპოტამიის ზიკურატები, სამეფო სასახლეები	ეს მშენებლობები გახდა ცივილიზაციის და კაცობრიობის ახალი ერის დასაწყისის ნიშანი, შრომითი და გონებრივი რესურსების მანევრირების შესაძლებლობის მანიშნებელი
6	დამწერლობის შექმნა - გრაფიკული ნიშნების და სიმბოლოების გამოგონება - ინფორმაციის და გამოცდილების ფიქსირების საშუალება	დამწერლობის გამოგონება მიუთითებს ახალი მენტალიტეტის, მატერიალური და ინტელექტუალური შესაძლებლობების დაბადებაზე

სქემა 5.

III ეტაპი - შეკითხვები გამტკიცებისთვის პირველყოფილი საზოგადოებისა და ცივილიზაციის დამახასიათებელი ნიშნების ტექნოლოგიური რუკების გამოყენებით:

1. რა მნიშვნელობა აქვს პირველყოფილი საზოგადოების შესწავლას თანამედროვეობისათვის?
2. რას ეფუძნება პირველყოფილი საზოგადოების პერიოდიზაციის სქემა?
3. დაასახელეთ ანთროპოგენეზის საფეხურები;
4. ჩამოთვალეთ პირველი სოციალური სტრუქტურები;
5. განსაზღვრეთ ნეოლითური რევოლუციის ნიშნები:
6. რა არის შრომის დანაწილება?
7. გამოყავით სამხედრო დემოკრატიის ნიშნები;
8. ჩამოთვალეთ სახელმწიფოსა და ცივილიზაციის დამახასიათებელი ნიშნები.

III ეტაპი: რეფლექსია, შეფასება და საშინაო დავალების მიცემა.

ტექნოლოგიური რუკების გამოყენებით წარმართული ინტერაქციული ლექცია დადებითი მოტივატორია მოსწავლის წარმატებისთვის და მისი გამოყენება სასწავლო პროცესში სასარგებლოა.